თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 12

ქ. თელავი 25.07.2019 წელი

თავმჯდომარეობდა: **დ. გოგოშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტ. დარეჯანიშვილი; ლ. მრელაშვილი; ა. შათირიშვილი; ნ. ხვისტანი; ზ. ლილუაშვილი; გ. მამუკელაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: დეპუტატი: ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარე - **გ. ჩაბრაშვილი.** საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტ. გალახვარიძე.** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლ. ფარსადანიშვილი;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნ. ესიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნ. ვაყელიშვილი;**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

<u>მოისმინეს:</u> 1 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვეს:**</u> დ. გოგოშვილმა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - **ნ. ვაყელიშვილს;**

მან აღნიშნა, რომ პროექტი ეხება სოფელ თეთრწყლებში ცენტრალური გზის მოასფალტების სამუშაოების განხორციელების (მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი) და მუნიციპალური ტრანსპორტის ავტოსადგომების მშენებლობის და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენის მიზნით თანხების მობილიზებას. რის საფუძველზეც ბიუჯეტი განისაზვროს 35971.74 ათ. ლარის ოდენობით.

<u>**გადაწყვიტეს:**</u> კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროექტი წარედგინოს საკრებულოს სხდომას.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — დ. გოგოშვილი